

საარჩევნო ბლოკი

“თოფაძე - მრეწველები, ჩვენი სამშობლო”

წესდება

თბილისი

2016 წ

თავი პირველი

ზოგადი დებულება

- 1.1. საარჩევნო ბლოკის სახელწოდებაა „თოფაძე - მრეწველები, ჩვენი სამშობლო,, რომელიც წარმოადგენს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებებს. ბლოკი აღიარებს დემოკრატიულ იდეალებს და გამოხატავს მოქალაქეთა ინტერესებს, სამოქალაქო საზოგადოების, ზნეობის და პასუხისმგებლობის პრინციპებზე.
- 1.2 საარჩევნო ბლოკი საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესდების საფუძველზე.
- 1.3 საარჩევნო ბლოკი არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს სახელწოდებით „თოფაძე - მრეწველები, ჩვენი სამშობლო,,

თავი მეორე

საარჩევნო ბლოკში შემავალი პარტიათა ჩამონათვალი და ხელმძღვანელი პირები

- 2.1 პ/გ „თოფაძე-მრეწველები“ - ზურაბ ტყემალაძე;
- 2.2 პ/გ „ჩვენი სამშობლო“ - ზვიად ჩიტიშვილი;

თავი მესამე

საარჩევნო ბლოკის ხელმძღვანელი ორგანო, ხელმძღვანელი პირები და მათი უფლებამოსილება

- 3.1 საარჩევნო ბლოკის ხელმძღვანელი ორგანოა გამგეობა, რომელიც შედგება საარჩევნო ბლოკში შემავალი პარტიათა თავმჯდომარეებისაგან.
- 3.2 გამგეობა გადაწყვეტილებას იღებს ხმათა კონსესუსით.
- 3.3 გამგეობა გადაწყვეტილებას იღებს ბლოკში ახალი პარტიის მიღების, ბლოკიდან პარტიის გასვლისა და გარიცხვის, ბლოკის მიერ საკანონმდებლო და წარმომადგენლობითი ორგანოს წევრობის კანდიდატთა წარდგენისა და წარდგენის გაუქმების შესახებ.
- 3.4 საარჩევნო ბლოკის ხელმძღვანელი პირები არიან ბლოკში შემავალი პარტიების თავმჯდომარეები, რომლებიც ერთობლივად წარმოადგენენ საარჩევნო ბლოკს მესამე

პირებთან ურთიერთობაში, უფლებამოსილნი არიან ხელი მოაწერონ ბლოკის დოკუმენტაციას ერთობლივად. გამოსცემენ ბრძანებებსა და განკარგულებებს საარჩევნო ბლოკის სახელით. საარჩევნო დოკუმენტების და სხვა საბუთების დასამოწმებლათ გამოიყენება ბლოკში შემავალი პარტია „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ ბეჭედი. საარჩევნო ბლოკის საარჩევნო კაპანიის ხარჯებზე პასუხისმგებელ პირს, მმართველს და ბუღალტერს ნიშნავს და ათავისუფლებს ბლოკის გამგეობა. საარჩევნო ბლოკში ბლოკის წესდებაში ცვლილებები შეიტანება ბლოკის გამგეობის გადაწყვეტილებით, ამავე ბლოკის წესდებით განსაზღვრული წესების შესაბამისად.

ხელმოწერები:

1. ზურაბ ტყემალაძე

2. ზვიად ჩიტიშვილი

